

# ხელშეკრულება

ქ. თბილისი

2010 წლის -----

შპს "სანტა ესპერანსა" (შემდგომში "რეალიზატორი") მისი დირექტორის ნათელა ცაავას სახით ერთის მხრივ და -----  
-----, ----- სახით მეორე მხრივ ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე.

## 1. ხელშეკრულების საგანი

მომწოდებელი სარეალიზაციოდ გადასცემს რეალიზატორს ბეჭდვით ან სხვა პროდუქციას (შემდგომში პროდუქცია).

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება მხარეების ორმხრივი შეთანხმებით და შეადგენს \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_ (სიტყვიერად) ლარს

## 3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. რეალიზატორის ვალდებულებებია:

3.1.3. გადაიხადოს საქონლის ღირებულება ხელშეკრულების 5.2 და 5.3 ქვეპუნქტების გათვალისწინებული პირობების შესაბამისად

3.1.3 მოთხოვნისთანავე შეატყობინოს მომწოდებელს პროდუქციის ნაშთის შესახებ ინფორმაცია.

3.1.5 არარეალიზებული საქონელი ამოიღოს ქსელიდან და დაუბრუნოს მომწოდებელს- ვარგის მდგომარეობაში.

3.2. მომწოდებელი ვალდებულია:

3.2.1. მიაწოდოს რეალიზატორს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი შეკვეთიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2.2. საქონლის მომწოდებლის ბრალით დაზიანების ან წუნის აღმოჩენის შემთხვევაში გამოცვალოს დაზიანებული ან წუნდებული საქონელი;

3.2.3. გადასცეს რეალიზატორს საქონლის მიწოდებასა და მიღება\_ჩაბარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

#### **4. ხელშეკრულების ვადა**

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი მხარეების მიერ ხელმოწერისთანავე.

4.2. ხელშეკრულების ვადაა 1 წელი.

#### **5. ანგარიშსწორება**

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა- ქართული ლარი  
ბ) ანგარიშსწორების ფორმა- უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის რეალიზაციის შემდგომ ყოველი თვის 10 რიცხვამდე. გადასარიცხი თანხა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 100 ლარს, იმ შემთხვევაში თუ სამი თვის განმავლობაში გადასარიცხი თანხა ვერ მიაღწია 100 ლარს, მესამე თვის 10 რიცხვამდე მომწოდებელს გადაერიცხება რეალიზებული საქონლის ღირებულების ფაქტობრივი ოდენობა. თუ 3 თვის განმავლობაში არ მოხდება პროდუქციის არც ერთი ერთეულის რეალიზაცია, რეალიზატორს უფლება აქვს ჩამოწეროს აღნიშნული პროდუქცია და დაუბრუნოს მომწოდებელს.

#### **6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

6.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ხორციელდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

#### **7. ხელშეკრულების შეწყვეტა**

7.1. ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე.

7.2. თითოელი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

## **8. მხარეთა პასუხისმგებლობა**

8.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მხარეების პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით.

## **9. ფორს-მაჟორი**

9.1. ხელშეკრულების მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან, თუ ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (საომარი ან საგანგებო მდგომარეობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილში, სტიქიური უბედურება, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს მიღებული ან გამოცემული საკანონმდებლო აქტი) ზემოქმედების შედეგად.

## **10. სხვა დებულებები**

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება მხარეთა რეკვიზიტებით შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად და გადაეცემა მხარეებს ხელმოწერისთანავე

## **რეალიზატორი**

შპს `სანტა ესპერანსა`

ქ.თბილისი სანქტ-პეტერბურგის12

ს/კ 202272138

ტელ/ფაქსი: 959351

დირექტორი ნ. ცაავა